

სასტუმრო თბილისი მარიოტის ისტორია

ბოლო ასი წლის განმავლობაში სასტუმრო მომსწრე გახდა ქვეყნის ყველა ისტორიული და პოლიტიკური მოვლენის. მათ შორის:

- დამოუკიდებლობა რუსეთის იმპერიისგან 1917 წელს
- საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ანექსია 1921 წელს
- საბჭოთა რეპრესიები ქართული ახალგაზრდობის წინააღმდეგ 1954 წლის მარტსა და 1989 წლის აპრილში
- თბილისის სამოქალაქო ომი 1992 წელს
- ვარდების რევოლუცია 2003 წელს

სასტუმრო “მაჯესტიკი” ბომონდის თავშეყრის ადგილი იყო. მას ხშირად სტუმრობდნენ აღფრედ ნობელი და ძმები სიმენსები.

საბჭოთა დროში ყველა მნიშვნელოვანი სტუმარი, ჟან პოლ სარტრი, ჯორჯ ბალანჩინი, ფიტცროი მაკკლეინი, მარგარეტ ტეტჩერი, სასტუმრო “მაჯესტიკში” ცხოვრობდნენ.

ისტორიული ქრონოლოგია

1910 წელს გადაწყდა თბილისში პირველი ევროპული სტანდარტების სასტუმროს აშენება. მშენებლობა 1911 წელს დაიწყო.

1915 წელს გაიხსნა სასტუმრო “მაჯესტიკი”

1916 წელს სასტუმროს არქიტექტურულმა პროექტმა ოქროს მედალი დაიმსახურა პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე.

1917 წელს პირველი მსოფლიო ომის შედეგად სასტუმრო სამხედრო ჰოსპიტალად გადაკეთდა.

1921 წელს რუსეთის წითელმა არმიამ დაარბია საქართველო და სასტუმრო საბჭოთა მუშათა სასახლედ გადაკეთდა

1936 წლის 14 თებერვალს სასტუმრო კვლავ გაიხსნა ამჯერად როგორც სასტუმრო “თბილისი”

ახალი სასტუმროს 125 ოთახი 310 სტუმარს იტევდა. მისი 100 კაციანი რესტორანი და კაფე 70 ადამიანზე ერთერთი საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირში. “თბილისი” ყველაზე დიდი და კომფორტული სასტუმრო იყო საქართველოში და შედიოდა საბჭოთა კავშირის 10 საუკეთესო სასტუმროს სიაში.

1990 წელს სამოქალაქო ომის დროს სასტუმროს დიდი ზიანი მიაყენეს.

2002 წელს განახლებული სასტუმრო თბილისი მარიოტის სახელით გაიხსნა.



13, Rustaveli Avenue, Tbilisi 8
0108 Georgia (Caucasus Region)
Tel: +995 (32) 779 200
Fax: + 995 (32) 779 210